სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება;	ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი **№SPA 140014906**
ტენდერი	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000 - კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 3

თბილისი 10.07.2014წ.

თემა:**შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების** შესყიდვაზე ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის,**შ.პ.ს."FIN–ESTATE"**-ს მიერ წარმოდმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვა.

სატენდერო კომისიის თავჯდომარე:
თავჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი — გ.ჩოჩია

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:
სატენდერო კომისიის წევრები:
თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ნ. გასვიანი
თავმჯდომარის მოადგილე — ი.ლითანიშვილი
თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი — ვ.ფანჩულიძე
ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი — დ. ჯაგაშვილი
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი — გ. ამბრიაშვილი
საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციის და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი — ა. გვაზავა
საავტომობილო გზების განვითარებისა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს უფროსი — ბ. მინჯორაია
იურიდიული სამმართველოს უფროსი — თ. მთივლიშვილი
საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი — გ. ნონიკაშვილი
საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს (პროექტირება) უფროსი — ო. ხატიაშვილი
ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი — თ. კაპანაძე
საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — ვ.რაზმაძე
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი-სატენდერო კომისიის პასუხუსმგებელი მდივანი — შ. ხალვაში
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე — ლ. როსტომაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: — ლ. ყანდაშვილი

მსვლელობა: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისიის 2014 წლის 3 ივლისის №2 ოქმის გადაწყვეტილებით და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-12 მუხლის მე-6-ე პუნქტის, მე-6[1] პუნქტის და ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად **შ.პ.ს."FIN–ESTATE"**-ს, წერილობით (№2-08/4259 3.07.2014წ.) ეთხოვა წარმოედგინა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია და დაზუსტებული ხარჯთაღიცხვა. ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ **შ.პ.ს."FIN–ESTATE",** როგორც ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია აწარმოებს: საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის კმ.46-კმ.51 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს **(№SPA 140000989)**და საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ.20-

კმ.27 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოებს (**№SPA 140010221**). **შ.პ.ს.„FIN−ESTATE"**−ს ხელშეკრულებები გაუფორმდა: შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჩო-ტურბაზა-შიხრას საავტომობილო გზის კმ1-კმ8.2 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (**№SPA 140012436**), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის კმ25(0.75)-კმ34(0.3) მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (**№SPA 140014921**), შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის კმ.11-კმ.18.8 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (**№SPA 140014923**) და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდათის საავტომობილო გზის კმ.36-კმ.43-კმ.45 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (**№SPA 140014918**). გამოცხადებულ ტენდერებში და ზემოაღნიშნულ ტენდერებში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციებში სამუშაოების შესასრულებლად წარმოდგენილი ჰქონდა ერთი და იგივე მანქანა-მექანიზმები **(როგორც საკუთარი ასევე შ.პ.ს."ნპ ინვესტ ჯგუფისგან" იჯარით დაქირავებული)**, სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, იმის გამო რომ ზემოაღნიშნული ტენდერებით გათვალისწინებული ობიექტები მდებარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, პრეტენდენტს ეთხოვა წარმოედგინა დასაბუთებული ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ **შ.პ.ს."FIN−ESTATE"** წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმებით უპრობლემოდ შეძლებდა **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების** წარმოებასა და დასრულებას შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ ვადებში.

2014 წლის 8 ივლისს **შ.პ.ს."FIN−ESTATE"**-მ ელექტრონულად წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები. დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულყოფილად და არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. **კერძოდ:**

1)შ.პ.ს."FIN−ESTATE"-მ ვერ შეძლო იმის დასაბუთება, რომ მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მაექანიზმებით უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ ობიექტზე სამუშაოების წარმოებას და დასრულებას შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ ვადაში. მან წერილში (**№FE01/14/89. 08/07/2014**) წარმოადგინა მანქანა-მექანიზმების ალტერნატიული ჩამონათვალი, რომლებიც მისი განცხადებით მას ჰყავს იჯარისა და მომსახურების წესით აყვანილი და განაცხადა, რომ ამ მანქანა-მექანიზმებით **შ.პ.ს."FIN−ESTATE"** უპრობლემოდ შეძლებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების დაწყება-დასრულებას, თუმცა **შ.პ.ს."FIN−ESTATE"**-ს არ წარმოუდგენია მის მიერ წარმოდგენილ ალტერნატიულ მანქანა-მექანიზმებზე გაფორმებიული იჯარის ხელშეკრულებები, სატენდერო დოკუმენტაციის **2. მუხლის (ტექნიკური დოკუმენტაცია) 2.1.3. პუნქტის გ)ქვე-პუნქტში წარმოდგენილი ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად**.

2)ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" **მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად**, იმის გამო, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, **შ.პ.ს."FIN−ESTATE" ექვემდებარება დისკვალიფიკაციას ზემოდ აღნიშნული ტენდერიდან**.

3) იმის გამო, რომ აღნიშნულ ტენდერში მონაწილე შემდეგი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის, **შ.პ.ს."საგზაო-სარემონტო-სამშენებლო კომპანია სერპანტინი"**-ს სატენდერო წინადადების ფასი მნიშვნელოვნად აღემატება **შ.პ.ს."FIN−ESTATE"**-ს მიერ ვაჭრობის ძირითად/დამატებით დროში დაფიქსირებული სატენდერო წინადადების ფასს, სატენდერო კომისიის წევრების წინადადებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის **მე-2 მუხლის „ა" პუნქტის** მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და **მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]" ქვე-პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, შეწყდეს აღნიშნულ ტენდერზე სატენდერო პროცედურები**.

იხელმძღვანელა რა საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით", **სატენდერო კომისიამ დაადგინა:**

1) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის შესყიდვაზე ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის **შ.პ.ს."FIN−ESTATE"**-ს მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" **მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად შ.პ.ს." FIN−ESTATE" დისკვალიფიკაცირებულ იქნეს ზემოდ აღნიშნული ტენდერიდან**.

2)საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ **მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის** მოთხოვნის უზრუნველსაყოფად და ამავე კანონის **მე-7-ე მუხლის პირველი პუნქტის, $გ^1$ ქვე-პუნქტის** შესაბამისად, შეწყდეს სატენდერო პროცედურები, **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების** ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვაზე.

3) დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს (ლ. ყანდაშვილი), „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ **მე-18 მუხლის 1 პუნქტის და მე-18 მუხლის 1^1** თანახმად, აღნიშნული გადაწყვეტილების ამსახველი წინამდებარე ოქმი და ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ, განათავსოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებას „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ის **მე-2 მუხლის „ტ“ ქვე-პუნქტის** შესაბამისად, **მიენიჭოს სტატუსი “ტენდერი შეწყვეტილია”**

5) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის საავტომობილო გზის კმ 64+000-კმ 73+000 მონაკვეთის პერიოდული შეკეთების სამუშაოების ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს ხელახლმეორედ.

სატენდერო კომისიის თავჯდომარე:
გივი ჩოჩია

სატენდერო კომისიის წევრები:

ნ. გასვიანი

ი.ლითანიშვილი

ვ.ფანჩულიძე

დ. ჯაგაშვილი

გ. ამბრიაშვილი

ა. გვაზავა

ო. ხატიაშვილი

თ. მთივლიშვილი

ვ.რაზმაძე

ბ.მინჯორაია

შ. ხალვაში

გ. ნონიკაშვილი

ლ. როსტომაშვილი

თ. კაპანაძე

შემსრულებელი: ლ. ყანდაშვილი